ეროვნული პროფესიული საბჭოს 2009 წლის

მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2009 წელს დამტკიცდა სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგია (2009-2012 წწ.), რომელსაც წინ უძღოდა აღნიშნული დოკუმენტის განხილვა და პრეზენტაცია.

პროფესიული განათლებისა და მომზადების განვითარების 2009-2012 წლების შუალედური სტრატეგიის განხილვა 2009 წლის 29 ივლისს, პროფესიული სწავლების ცენტრ "იკაროსში", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა.

აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა სტრატეგიის ამოცანები, მიზნები, მათძი მიღწევის გზები. სტრატეგიაზე მუშაობა სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობდა და მისი შემუშავების ყოველ ეტაპზე აქტიურად იყო გათვალისწინებული როგორც ადგილობრივ ექსპერტთა მოსაზრებები, ასევე საერთაშორისო გამოცდილება. გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა დოკუმენტს ჰქონოდა დაინტერესებული მხარეების საყოველთაო მხარდაჭერა.

2009 წლის 23 სექტემბერს უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიმართა. სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 სექტემბრის № 678 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმატისა და ფუნქციების გაცნობა
2. საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირიდან მოსალოდნელი საბიუჯეტო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
3. სახელობო განათლებისა და მომზადების მოკლევადიანი 2009-2012 წლების სტრატეგიის პროექტის მიმოხილვა

4. საქართველოში სახელობო განათლებისა და მომზადების პოლიტიკის საკვანძო საკითხების განხილვა.

სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ გაგრძელდება მუშაობა პროფესიული განათლების ისეთ საკვანძო და პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორიცაა

1. პროფესიული განათლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.
2. შრომის ბაზრის კვლევა.
3. პროფესიული კვალიფიკაციის სისტემისა და პროფესიული სტანდარტების შემუშავება.
4. დამსაქმებელთა პროფესიულ განათლებაში ჩართვის მიზნით დამატებითი სტიმულების მოძიება.

2009 წლის 25 სექტემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგიის (2009-2012 წწ.) პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებონენ სხვადასხვა დაინტერესებული პირები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო დაწესებულებების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის, ასევე პროფესიული კოლეჯების კოორდინირებულ მოქმედებათა უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის 18 სექტემბრის №678 განკარგულებით ჩამოყალიბდა სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო, ხოლო 2009 წლის 4 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №203 დადგენილება ,,სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ". ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 ნოემბრის №1022 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ,,სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნო".

ეროვნული პროფესიული საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 2009 წლის 1 დეკემბერს. სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულება და საბჭოს სამდივნო;
2. სახელობო განათლებისა და მომზადების სიტუაციური ანალიზი (baseline analysis);
3. სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს 2010 წლის სამოქმედო გეგმა.

საბჭოს წევრებმა სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2010 წელს სამოქმედო გეგმის აქტივობები იქნება:

1. თემატური ჯგუფების ჩამოყალიბება და შემადგენლობების განსაზღვრა;
2. სახელობო დონეზე ,,საგანმანათლებლო ჩიხის" აღმოფხვრის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტის განხილვა;
3. პროფესიული განათლების საინფორმაციო კამპანიის პოლიტიკის განხილვა;
4. პროფესიული განათლების სფეროში ფუნქციური, საკორდინაციო და ადამიანური რესურსების საჭიროებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტის განხილვა;
5. სტრატეგიის 2010 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშის განხილვა;
6. სახელოო განათლების კერძო და საჯარო პროვაიდერების მიერ მიწოდებული პროგრამების შესახებ სტუდენტთა აზრის გამოკითხვის შედეგების განხილვა;
7. პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა;
8. პროფესიული სტანდარტების განხილვა;
9. პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხის განხილვა;
10. ატესტაციის პირობებისა და წესის განხილვა;
11. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების არსებული პოლიტიკის და სისტემის განხილვა;
12. პროფესიული განათლების ხარისხის მართვის კონცეფციის განხილვა;
13. სახელობო განათლებაში პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა;
14. პროფესიული განათლების მონიტორინგის კონცეფციის განხილვა;
15. მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა;
16. პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განხილვა.

გარდა ამისა, საბჭომ უნდა უზრუნველყოს მინიმუმ 2 გაფართოებული სხდომის ორგანიზება პროფესიული განათლების დაინტერესებულ მხარეებთან.